ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.05.2018

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/18

შეკითხვა:

ადვოკატს რამდენიმე პირი სთხოვს, რომ განახორციელოს მათი წარმომადგენლობა. ადვოკატი არ არის თანახმა, თუმცა, მას ეს პირები უცხადებენ, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაიცვას მათი ინტერესები, რადგან ადრე, სხვა საქმეზე წარმოადგენდა მათ. ის საქმე დასრულებულია.ვალდებულია თუ არა ადვოკატი განახორციელოს ამ პირთა წარმომადგენლობა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319 - ე მუხლის პირველი ნაწილი: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც,რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის,მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709 - ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება, უფლებამოსილია, ასევე, თავისუფლად აირჩიოს კონტრაჰენტი. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი.

შესაბამისად, ადვოკატს თავად შეუძლია გადაწყვიტოს დაიწყებს თუ არა აღნიშნული პირის წარმომადგენლობას. მას არ აქვს ამ ქმედების განხორციელების ვალდებულება. ის ფაქტი, რომ ადვოკატი ადრე წარმოადგენდა კონკრეტული პირების ინტერესებს უკვე დასრულებულ საქმეზე, ადვოკატს არ ავალდებულებს ამ პირთა ინტერესები წარმოადგინოს მოცემულ შემთხვევაშიც.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ პირი სთხოვს ადვოკატს წარმომადგენლობის განხორციელებას, მასზე თანხმობა, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, დამოკიდებულია ადვოკატის ნებაზე. ის ფაქტი, რომ ადვოკატი ადრე წარმოადგენდა კონკრეტული პირების ინტერესებს უკვე დასრულებულ საქმეზე, ადვოკატს არ ავალდებულებს ამ პირთა ინტერესები წარმოადგინოს მოცემულ შემთხვევაშიც.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.